



№ 1გ/620-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

04 მაისი 2017 წელი
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ**

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ბადრი შონიას 2017 წლის 29 იანვრის განჩინებაზე, დაინტერესებული პირების - მ. ჟ.-ს და კ. ჟ.-ს ადვოკატ ტ. ჩ.-ს საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს წარმომავალი სისხლის სამართლის #092200117003 საქმე დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მულის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

გამოძიების საფუძველი გახდა მოქალაქეთა განცხადება შპს „ე. ბ. ჯ.-ს“ (ს/კ XXXXXXXXXX) მიერ მათი კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისების ფაქტზე.

საქმის მასალების მიხედვით შპს „ე. ბ. ჯ.“ რეგისტრირებული იქნა 2014 წლის 21 მაისს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ი. ვ.-ს მიერ. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია ქალაქი თ., ვ. რაიონი, ა. კ.-ს ქუჩა #45, ბინა #31, ხოლო დირექტორის თანამდებობაზე დანიშნულია საქართველოს მოქალაქე მ. ჟ. (პ/ნ XXXXXXXXXXXX). 2016 წლის 17 ივნისს ი. ვ.-ს მიერ კომპანიაში არსებული 100% წილი გასხვისებული იქნა ბ.-ში რეგისტრირებულ საერთაშორისო ბიზნეს კომპანია M.S. I.-ზე, რომლის წარმომადგენლადაც ფიქსირდება იგივე ი. ვ. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენდა კლიენტების მოზიდვა, მათ მიერ შეტანილი თანხებით გარკვეული პროგრამების განხორციელება, მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც მერყეობდა 36%-დან 92%-მდე, ხოლო საინვესტიციო პერიოდის გასვლის შემდეგ ინვესტირებული თანხა პირს უბრუნდება სრულად. შპს „ე. ბ. ჯ.-ს“ თანამშრომელთა გამოკითხვით დგინდება, რომ 2016 წლის ოქტომბრიდან შეფერხდა თანხის სანაცვლოდ დასარიცხი სარგებლის გაცემა, ხოლო 2017 წლის იანვრიდან დაიკეტა ორგანიზაციის ოფისები თ.-ში და ბ.-ში. კომპანიის დირექტორმა მ. ჟ.-მ კი 2017 წლის 13 იანვარს დატოვა საქართველოს ტერიტორია.



გამოძიების მიერ ასევე დადგინდა, რომ ფართი, რომელიც წარმოადგენს შპს „ე. ბ. ჯ.-ს“ იურიდიულ მისამართს და სადაც განთავსებული იყო ასევე ამ ორგანიზაციის ოფისი, მდებარე - ქ. თ.-ში, ა.ბ.-ს ქუჩა #XX, ბინა #XX, 67.40 კვ.მ (ს/კ XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) წარმოადგენს კომპანიის დირექტორის - მ.ჟ.-ს საკუთრებას, რომელსაც ასევე საკუთრებაში აქვს ავტომანქანა „N. M.-ს“, სახელმწიფო ნომრით: XXX-XXX, გამოშვების წელი 2004, ვინ კოდი: XXXXXXXXXXXXXXXXXXXX. ხოლო, მ. ჟ.-სთან დაკავშირებულ პირს - მის დედას, კ. ჟ.-ს საკუთრებაშია 61.75 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) და სარდაფი 10 კვ.მ (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX), მდებარე ქ. თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX-ში.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ე. ბ. ჯ.-ს“ სახელით ფიზიკური პირების მიერ ინვესტირებულ თანხებს ხელზე იღებდა მ. ჟ. და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მას განზრახული აქვს ვალდებულებებისაგან თავის არიდება, ინვესტირებული თანხების მითვისება და მისი და მასთან დაკავშირებული პირების საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება, პროკურორმა 2017 წლის 28 იანვარს მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვა ყადაღის დადება: მ. ჟ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) საკუთრებაში რეგისტრირებულ 67.40 კვ.მ-ზე (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) მდებარე ქ. თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX, სართული X ბ. NXX, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანია შპს „ე.ბ.ჯ.-ს“ (ს/კ XXXXXXXXXXXX) იურიდიულ მისამართს, ასევე მ. ჟ.-ს საკუთრებაში არსებულ ავტომობილზე („N. M.“ სახელმწიფო ნომრით XXX-XXX, გამოშვების წელი 2004, ვინ კოდი: XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) და მ. ჟ.-სთან დაკავშირებული პირის, დედამისის - კ. ჟ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ 61.75 კვ.მ საცხოვრებელ ფართზე (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) მდებარე ქ. თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX და 10 კვ.მ სარდაფზე (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) მდებარე იმავე მისამართზე.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად პროკურორმა მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც ქონებაზე ყადაღის დადება ხდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ბადრი შონიას 2017 წლის 29 იანვრის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

ყადაღა დაედო:

- მ. ჟ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ 67.40 კვ.მ მშენებარე ფართს (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) მდებარე ქ. თ.-ში, ა.ბ.-ს ქუჩა NXX, სართული X, ბინა NXX;
- მ. ჟ.-ს საკუთრებაში არსებულ ავტომობილ „N. M.-ს“ სახელმწიფო ნომრით XXX-XXX, გამოშვების წელი 2004, ვინ კოდი: XXXXXXXXXXXXXXXXXXXX);
- მ. ჟ.-ს დედის - კ. ჟ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ 61.75 კვ.მ საცხოვრებელ ფართზე (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) და 10 კვ.მ სარდაფს (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) მდებარე ქ. თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX-ში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დასახელებული უძრავ/მოძრავი ქონება, მ. ჟ.-ს და მასთან დაკავშირებული პირის მიერ შესაძლოა დანაშაულებრივი გზით იყოს მოპოვებული და ამასთან, მ. ჟ.-მ და მასთან სავარაუდო დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირმა, შესაძლოა აღნიშნული ქონება გადაამალონ, გაასხვისონ ან უფლებრივად დატვირთონ, რითაც ხელი შეეშლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნების აღსრულებას - მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების დაცვას.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა მ. ჟ.-ს და კ. ჟ.-ს ადვოკატმა ტ. ჩ.-მ, რომელიც ითხოვს ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმებას.



საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ პირველად ადვოკატმა საჩივარი წარადგინა 2017 წლის 01 მაისს (რეგისტრაციის #5173), რომელიც 2017 წლის 02 მაისს 11:02 საათზე განცხადებით გაითხოვა უკან საჩივრის დაზუსტების მიზნით, რის შემდეგაც 2017 წლის 02 მაისს 11:07 საათზე (რეგისტრაციის #5195) საჩივარი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმეში არ მოიპოვება ხსენებული წინა საჩივრის ასლი, რომელიც დაუბრუნდა საჩივრის ავტორს, ასევე არ მოიპოვება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრების უფლებამოსილი პირებისადმი (მ. ჟ.-ს და კ. ჟ.-სათვის ან მათი წარმომადგენლისთვის) განჩინების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც მნიშვნელოვანია ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების ვადის გამოთვლისას (ვინაიდან გასაჩივრების ვადა აითვლება უფლებამოსილი პირისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან), რის გამოც საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მ. ჟ.-ს და კ. ჟ.-ს ადვოკატ ტ. ჩ.-ს მიერ წარმოდგენილი საჩივარი უნდა ჩაითვალოს კანონით დადგენილ ვადაში შემოტანილად და ამასთან იმის, გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილია ადვოკატის ორდერი, აღნიშნულით დასტურდება საჩივრის უფლებამოსილი პირის მიერ შემოტანის ფაქტი.

საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში მიღებულია 2017 წლის 02 მაისს, 15:00 საათზე და საგამოძიებო კოლეგია საჩივარს განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით 72 საათის ვადაში.

საჩივარში მითითებულია, რომ გამოძიება მიმდინარეობს შპს „ე. ბ. ჯ.“-ს ხელმძღვანელ პირთა მიერ დიდი ოდენობით თანხის შესაძლო მითვისების ფაქტზე, აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდისთვის, ჯერ არ გახლავთ წარდგენილი ბრალდება არავის მიმართ (არ არის ბრალდებული) და აღნიშნულიდან გამომდინარე გაუგებარია სასამართლოს მიერ ყადაღის შესახებ განჩინების მიღების საფუძველი. მით უფრო, რომ გამოძიება მიმდინარეობს კონკრეტულ იურიდიულ პირთან დაკავშირებით, რომელიც დაფუძნებული გახლავთ 2014 წელს, თუმცა ყადაღა გამოყენებულია სხვა სუბიექტის ქონებაზე, ასევე დაყადაღებულია შპს „ე. ბ. ჯ.“-ს დირექტორის, მ. ჟ.-ს დედის, კ. ჟ.-ს კუთვნილი უძრავი ქონება, რომელიც შეძენილი გახლავთ 1988 წელს ანუ უძრავი ქონების შეძენის დროისათვის მ. ჟ. გახლდათ 12 წლის. დაყადაღებული გახლავთ ასევე უშუალოდ მ. ჟ.-ს უძრავი ქონება, რომელიც შეძენილია 2013 წელს ანუ შპს „ე. ბ. ჯ.“-ს დაფუძნებამდე. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითებით გამორიცხულია ვარაუდი, რომ აღნიშნული ქონება შეძენილი იქნებოდა დანაშაულებრივი გზით. რაც შეეხება უშუალოდ „ე. ბ. ჯ.“-ს გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციაში მ. ჟ. გახლდათ დაქირავებული დირექტორი და საქმიანობას ახორციელებდა შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში.

საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და თავად საჩივარი იძლევა მასში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი და წარმოდგენილი მასალები, მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამაღავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ამავე



მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **ქონებაზე ყადაღის დადება ასევე გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-330-ე და 331¹-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად.**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი **სასამართლოს შეუძლია ასევე ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს კორუფციული, რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონება ან/და ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.**

შესაბამისად, ზემოაღნიშნულზე უნდა არსებობდეს საკმარისი მონაცემები, ხოლო საკმარისი მონაცემების არსებობა შინაარსობრივად უთანაბრდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. ამდენად, გამოძიების ეტაპზე ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, მათ შორის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების გაცემისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რაც მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტისაგან განსხვავებით, არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით, დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად მ. ჟ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXX) საკუთრებაში რეგისტრირებულია 67.40 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (მშენებარე, ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) მდებარე ქ. თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX, სართული X, ბინა NXX-ში, რაც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, ამავდროულად წარმოადგენს კომპანია შპს „ე. ბ. ჯ.-ს“ იურიდიულ მისამართს. შესაბამისად, ვარაუდი იმის შესახებ, რომ აღნიშნული ქონება შესაძლოა გამოყენებული იქნეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას დანაშაულის ჩასადენად (მითუმეტეს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით) დასაბუთებულია და ამ ქონებაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიზანშეწონილია დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება. აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე (ბრალდებული, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ან/და მასთან დაკავშირებული პირი), რომლის ქონებასაც შეიძლება დაედოს ყადაღა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს ქონებაზე ყადაღის დადებას იმ შემთხვევაშიც, როცა არ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას ეს ქონება შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაშაულის ჩასადენად.

რაც შეეხება მ. ჟ.-ს დედის კ. ჟ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ 61.75 კვ.მ საცხოვრებელ ფართს (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) მდებარე ქ. თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX და ამავე მისამართზე მდებარე 10 კვ.მ სარდაფს (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX), აღნიშნულთან დაკავშირებით საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ბრალდებულთან დაკავშირებული პირის ცნება პირდაპირ უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის არსებობას და ამასთან, ბრალდებულთან დაკავშირებული პირის ქონებას ყადაღა უნდა დაედოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება მიღებულია ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად (შეძენილი ან მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით) ან/და ეკუთვნის ბრალდებულს და მხოლოდ ფორმალურად არის აღრიცხული მასთან დაკავშირებული პირის სახელზე.



კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმეში ბრალდებული პირი არ არის, შესაბამისად, კ. ჟ.-ს, როგორც ბრალდებულთან დაკავშირებული პირის ქონებზე ყადაღის დადება ამ მოტივით უსაფუძვლოა (სსსკ-ის 151.1). ასეთ ვითარებაში უნდა არსებობდეს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს ქონება შესაძლოა გამოყენებული იქნას დანაშაულის ჩასადენად (სსსკ-ის 151.2, რაზედაც უთითებდა პროკურორი შუამდგომლობაში), თუმცა, აღნიშნულზე საქმის მასალები არ მიუთითებს, ვინაიდან არ დგინდება ამ ქონების კავშირი შპს „ე. ბ. ჯ.-სთან“. ხსენებულ მისამართზე არც ორგანიზაციის იურიდიული და არც ფაქტობრივი მისამართი არ ფიქსირდება და კომპანიის ოფისების ფუნქციონირებაც სხვა მისამართებზეა მითითებული. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მაინც შეიძლება მითითებულ ქონებაზე ყადაღის დადება თუკი დასაბუთებული იქნებოდა ვარაუდი, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული (სსსკ-ის 151.3, რაზედაც მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლომ), მაგრამ საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით კ. ჟ.-ს საკუთრებაში არსებული 61.75 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) და 10 კვ.მ სარდაფი (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX), მის სახელზე ირიცხება 2007 წლის 24 ივლისიდან, 2000 წლის 27 მარტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე.

შესაბამისად, უდავოა, რომ კ. ჟ.-ს მიერ ხსენებული ქონება შეძენილია გაცილებით ადრე ვიდრე დაფუძნდა შპს „ე. ბ. ჯ.“, რომელთან დაკავშირებითაც დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია ამ ქონების მიმართ ჩადენილი ყოფილიყო დანაშაული მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ან შპს „ე. ბ. ჯ.-ს“ დაფუძნების შემდეგ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი გზით იყოს ეს ქონება მოპოვებული.

მ. ჟ.-ს საკუთრებაში არსებულ ავტომობილ „N. M.-ს“ (სახელმწიფო ნომრით XXX-XXX, გამოშვების წელი 2004, ვინ კოდი: XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) დაყადაღებასთან დაკავშირებით კი საგამოძიებო კოლეგია ზემოთ ხსენებული გარემოებებიდან და ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე განმარტავს, რომ დაუსაბუთებელია პროკურორის მიერ შუამდგომლობაში მითითებული პოზიცია, რომ იგი გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად და მასზე ყადაღის დადება აუცილებელია მ. ჟ.-ს მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და მისი აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით. მით უფრო, რომ მოცემულ საქმეში მ. ჟ. არ წარმოადგენს ბრალდებულს და უსაფუძვლოა მის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე მითითება. ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ხსენებული ავტომანქანა 2012 წლიდან ირიცხება მ. ჟ.-ს საკუთრებაში, დაუსაბუთებელია სასამართლოს განჩინებაში მითითებული პოზიცია იმის შესახებ, რომ იგი შესაძლოა დანაშაულებრივი გზით იყოს მოპოვებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მ. ჟ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) საკუთრებაში რეგისტრირებულ 67.40 კვ.მ საცხოვრებელ ფართზე (მშენებარე, ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX, მდებარე ქალაქი თ.-ში, ა. კ.-ს ქუჩა NXX, სართული X, ბინა NXX-ში) ყადაღის დადება გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან. ხოლო, მ. ჟ.-ს საკუთრებაში არსებულ ავტომობილზე („N. M.“, სახელმწიფო ნომრით: XXX-XXX, გამოშვების წელი 2004, ვინ კოდი: XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) და მასთან დაკავშირებული პირის - კ. ჟ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ 61.75 კვ.მ საცხოვრებელ ფართზე და 10 კვ.მ სარდაფზე (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX და XXXXXXXXXXXXXXXXXXXX, მდებარე ქ. თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX-ში) ყადაღის დადება უსაფუძვლოა, ვინაიდან არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ამ ქონების დანაშაულებრივი გზით მოპოვების შესახებ (რაც მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში) და სახეზე არ არის არც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ე გ ი ო ნ ა წ ი ლ ი :



ვიხელმძღვანელო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-154-ე, 207-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე :

1. მ. ჟ.-ს და კ. ჟ.-ს ადვოკატ ტ. ჩ.-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ყადაღა მოეხსნას:

- მ. ჟ.-ს საკუთრებაში არსებულ ავტომობილ „N. M.-ს, სახელმწიფო ნომრით: XXX-XXX, გამოშვების წელი 2004, ვინ კოდი: XXXXXXXXXXXXXXXXXXXX;

- მ. ჟ.-ს დედის - კ. ჟ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ 61.75 კვ.მ საცხოვრებელ ფართს (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) და 10 კვ.მ სარდაფს (ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX), მდებარე ქალაქ თ.-ში, ა. ბ.-ს ქუჩა NXX-ში.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ბადრი შონიას 2017 წლის 29 იანვრის განჩინება - მ. ჟ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) საკუთრებაში რეგისტრირებულ 67.40 კვ.მ საცხოვრებელ ფართზე (მშენებარე, ს/კ XXXXXXXXXXXXXXXXXXXX, მდებარე ქალაქი თ., ა. ბ.-ს ქუჩა NXX, სართული X, ბინა NXX), ყადაღის დადების ნაწილში დარჩეს უცვლელი ამ განჩინებაში მითითებული საფუძვლით;

4. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;

5. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე
გიორგი მიროტაძე**